ოქმი:**ო02. 3725359001**

თარიღი:**25/12/2025**

ოქმი №3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-

ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

2025 წელი, 24 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

15:30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, დ. ხურციძე, ნ. ურუშაძე, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ზ. სალუქვაძე, ზ. მორჩილაძე, ე.გორდელაძე, გ. გაბისიანი, ლ. ქვილორია.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პავლე ჭყონია.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი ,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ.ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტთან დაკავშირებით. საკითხზე უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების მოკლე მიმოხილვა წარმოადგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა პ.ჭყონიამ, თანამომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 105 183 651,85 ლარს. მისივე განცხადებით, 4 500,0 ლარით გაიზარდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საკომპენსაციო თანხა. რაც მნიშვნელოვნია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის თვალსაზრისით. ასევე, გაიზარდა სკოლების მცირე ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა. პ.ჭყონიამ კომისიის წევრებს დამატებით მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეულ პრიორიტეტებით

გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსების შესახებ. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა - დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი